

ჭიათურის მანგანუმის საბადოს გეოლოგია და მანგანუმის მინერალები

ანა კიკვაძე

anna.kikvadze097@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ჭიათურის მანგანუმის საბადო მდებარეობს ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე - ძირულის კრისტალური მასივის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ოლიგოცენური ნალექების ქვედა ნაწილებს უკავშირდება. საბადო 1846 წელს აღმოაჩინა აკადემიკოსმა ჰერმან აბიხმა.

მოხსენებაში განხილულია ჭიათურის მანგანუმის საბადოს გეოლოგია და ბეტეხტინისა და მოწენიძის შეხედულებები საბადოს წარმოშობაზე. ბეტეხტინის მიხედვით ჭიათურის საბადო კლასიკურ დანალექ საბადოდ არის მიჩნეული, მოწენიძის მიხედვით კი საბადო ვულკანოგენურ-დანალექი წარმოშობისაა.

მანგანუმის მადნის რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: ჟანგულა, ჰიდროჟანგული, კარბონატული და სილიკატური.

მანგანუმის მთავარი მინერალებია: პიროლუზიტი MnO_2 , პსილომელანი - $MnO \cdot MnO_2 \cdot nH_2O$, მანგანიტი- $Mn^{3+}O(OH)$, ჰაუსმანიტი- $Mn^{2+}Mn^{3+}_2O_4$, ბრაუნიტი- $Mn^{2+}Mn^{3+}_6(SiO_4)_8$, როდოქროზიტი - $MnCO_3$, მანგანოკალციტი - $(Mn,Ca)CO_3$ როდონიტი - $MnSiO_3$, სპესარტინი - $Mn_3Al_2[SiO_4]_3$